ევროპის უნივერსიტეტი
EUROPEAN UNIVERSITY

განხილულია ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე:

ოქმი №ს11-24, 29.07.2024

დამტკიცებულია მმართველი საბჭოს გადაწყვეტილებით:

დადგენილება №13, 08.08.2024

ბოლო ცვლილებები განხილულია ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე:

ოქმი №ს11-25, 16.10.2025

დამტკიცებულია მმართველი საბჭოს გადაწვეტილებით:

დადგენილება №24, 21.10.2025

კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამა

განათლების საფეხური: მაგისტრატურა (უმაღლესი აკადემიური განათლების I საფეხური)

სწავლების ენა: ქართული

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0421 სამართალი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: კერძო სამართლის მაგისტრი / Master of Private Law

სწავლის ხანგრძლივობა: 2 წელი (4 სემესტრი)

საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა: 120 კრედიტი (ECTS)

პროგრამის ხელმძღვანელი: აფილირებული პროფესორი, ნონა ზუბიტაშვილი, ელ. ფოსტა: nona.zubitashvili@eu.edu.ge.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტების საფუძველზე. კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სამართლის ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს. მაგისტრანტობის კანდიდატი ჩაირიცხება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების ან შიდა/გარე მობილობის საფუძველზე ან საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების გარეშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

ევროპის უნივერსიტეტში სამაგისტრო პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობებია: შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა სპეციალობასა და ინგლისურ ენაში:

შიდასაუნივერსიტეტო წერით გამოცდაზე სპეციალობაში მაგისტრანტობის კანდიდატს ევალება კერძო სამართალში ერთი კაზუსის ამოხსნა და ერთი თემის დაწერა. კონკურსანტი, კაზუსის ამოხსნისას, უფლებამოსილია გამოიყენოს ნორმატიული მასალა. შიდასაუნივერსტეტო გამოცდის საკითხები და

გამოსაცდელ პირთა ცოდნის შეფასების კრიტერიუმები განთავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე (https://eu.edu.ge/ge) გამოცდის დაწყებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე.

სავალდებულოა ინგლისური ენის გამოცდის შედეგად დადასტურდეს ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა. ინგლისური ენის ცოდნის დონის დადგენა ხორციელდება „ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტის ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესის“ (დამტკიცებულია რექტორის 2020 წლის 14 სექტემბრის №247 ბრძანებით) შესაბამისად.

B2 დონის დადასტურება შესაძლებელია ინგლისური ენის შესაბამის დონეზე ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტით: CEFR B2: IELTS exam – 5.5; BEC exam and CELS exam – Vantage; Cambridge exam – FCE; TOEIC – 785; TOEFL iBT – 72; TOEFL ITP – 543; EnglishScore – 400.

ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დასტურად შეიძლება ასევე ჩაითვალოს კანდიდატის მიერ ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება (საქართველოში ან საზღვარგარეთ). სავალდებულოა ზემოაღნიშნულის დოკუმენტურად დადასტურება.

პროგრამაზე საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლებას მოიპოვებენ:

პირები, რომლებსაც „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანების საფუძველზე უფლება აქვთ ჩაირიცხონ უნივერსიტეტში საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე. აღნიშნული პირები ვალდებულნი არიან დაადასტურონ ქართული ენის B2 დონეზე ფლობა „ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტის ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესის“ შესაბამისად. პროგრამაზე საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხული პირები არ თავისუფლდებიან შიდა საუნივერსიტეტო გამოცდებისგან (სპეციალობასა და ინგლისურ ენაში - B2 დონე).

პროგრამაზე ასევე დაიშვებიან:

,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების შესაბამისად მობილობის წესით ჩარიცხული სტუდენტები.

პროგრამის აქტუალობა

სამაგისტროს პროგრამის აქტუალობას განაპირობებს კერძო სამართლის, როგორც დარგის მნიშვნელობა და ამ სფეროში კვალიფიციური სპეციალისტების მიმართ არსებული მოთხოვნა. კერძო სამართალი არის სამართლის ფართო დარგი, რომელიც აერთიანებს კერძო ხასიათის სამართალურთიერთობის მარეგულირებელ ისეთ ქვედარგებს, როგორიცაა სახელშეკრულებო სამართალი, საკორპორაციო სამართალი, შრომის სამართალი, საბანკო და სადაზღვევო ურთიერთობიებების მარეგულირებელი სამართალი და და სხვა. ამდენად, კერძოსამართლებრივი ურთიერთობები მთავარ როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკური დოვლათის აგრეგაციაში, რაც თავისთავად, ზრდის ამ სფეროში იურიდიული მომსახურების საჭიროებას და ასპარეზს უხსნის კვალიფიციური იურიდიული მომსახურების გამწევ პირებს. ეკონომიკურ თუ სამეწარმეო საქმიანობაში ჩართული ყველა სუბიექტი საჭიროებს სხვადასხვა მოცულობით იურიდიულ მომსახურებას. სწორედ იურისტების უშუალო მონაწილეობით წარიმართება მეწარმე სუბიექტების როგორც ყოველდღიური

ტრანზაქციები, ისე მათი კორპორაციული მართვა, საკანონდმებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა და სასამართლოში წარმომადგენლობა. კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამა მოიაზრებს ამ სფეროებში ღრმა ცოდნის მიღებასა და მაგისტრანტებისთვის რელევანტური კომპეტენციების გამომუშავებას.

კერძოსამართლებრივი ურთიერთობების მასშტაბი და კომპლექსურობა განაპირობებს ისეთი სპეციალისტის როლს, რომელმაც სიღრმისეულად და სისტემურად იცის კერძო სამართალი და გააჩნია პრაქტიკაში ადაპტაციისთვის საჭირო ძირითადი უნარები.

აღსანიშნავია, რომ კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამა, გარდა თეორიული ცოდნის გაღრმავებისა, იძლევა პრაქტიკული კომპეტენციების გამომუშავებისა და განვითარების შესაძლებლობას. პროგრამაში გასაკუთრებული აქცენტი კეთდება ისეთ საგნებზე, რომლებიც ასახავს შესაბამის ქვედარგში სასამართლო პრაქტიკის განვითარების ტენდენციებს. ამავდროულად, კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სამოქალაქო საპროცესო სამართლის გაღრმავებას, ისეთი სასწავლო კურსებით როგორიცაა „სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილების მიღების მეთოდიკა“, „შედარებითი სამოქალაქო პროცესი“, „საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთდახმარება სამოქალაქო საქმეებზე“.

პროგრამის ერთ-ერთ მთავარ ღირებულებას წარმოადგენს მისი შედარებითსამართლებრივი ასპექტი, რაც სტუდენტს შესაძლებლობას აძლევს დაეუფლოს უცხოური სამართლის მიღწევებსა და ტენდენციებს, ასევე, გაათვიცნობიეროს საერთაშორისო და ეროვნული სამართლის ურთიერთკავშირი და ჩამოიყალიბოს ხედვა ეროვნული სამართლის განვითარების პერსპექტივების თაობაზეკერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამა განკუთვნილია იურისტებისთვის, რომლებსაც სურთ კერძო სამართლის სფეროში ცოდნის გაღრმავება, საადვოკატო სფეროში კარიერული წინსვლა, პროფესიული უნარების გაუმჯობესება-განვითარება. ამ პროგრამის გავლისას მაგისტრანტი შეიძენს როგორც სიღრმისეულ ცოდნას პროგრამით გათვალისწინებულ კერძო სამართლის აქტუალურ ქვედარგებში, უცხო გარემოში ადაპტაციისა და რთული სამართლებრივი სიტუაციის იდენტიფიცირების, ისე რელევანტური სამართლებრივი გადაწყვეტილებების მიღების უნარს.

პროგრამის მიზანი

კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამა ეფუძნება ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და საერთაშორისო ტენდენციებს, ეროვნული და უცხოური უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების გამოცდილებას. ამდენად, კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამა მიმართულია კერძო სამართლის სხვადასხვა სფეროში კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, შრომის ბაზარზე მოთხოვნადი კომპეტენციებითა და მაღალი აკადემიური სტანდარტებით აღჭურვილი კადრების მომზადებისკენ. პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ ადგილობრივ თუ საერთაშორისო ორგანიზაციებში დასაქმებას, ასევე, საკუთარი წვლილის შეტანას კერძო სამართლის სხვადასხვა სფეროში ინოვაციური მიდგომებისა თუ ღირებულებების განვითარებაში.

აქედან გამომდინარე, კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამის მიზანია მაგისტრანტებს:

1. შესძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა კერძო სამართლის სფეროში არსებული გამოწვევების, ეროვნული და საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის, ქართული კერძო სამართლის განვითარებაზე ევროკავშირის სამართლის გავლენის შესახებ და შედარებითსამართლებრივი მეთოდოლოგიის დახმარებით გამოუმუშავოს ეროვნული კერძო სამართლის კანონმდებლობის ანალიზის, დახვეწისა და მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი;

2. გამოუმუშაოს კერძო სამართლის სფეროში რთული პრობლემების კომპლექსურად შეფასების, კრიტიკული ანალიზისა და მათი გადაწყვეტის ინოვაციური/ორიგინალური გზებისა და შესაბამისი დასკვნების

ჩამოყალიბების, საერთაშორისო მონაცემების დამოუკიდებლად მოძიების, კვლევითი პროცესის დამოუკიდებლად დაგეგმვისა და ეთიკური ნორმების დაცვით სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის შემუშავების უნარი;

3. ჩამოუყალიბოს ეთიკური სტანდარტების დაცვით ეფექტური კომუნიკაციისა და როგორც აკადემიური, ისე პროფესიული საზოგადოებისთვის სამართლებრივი დასკვნებისა და არგუმენტების გადაცემა-გაზიარების უნარი;

4. გამოუმუშაოს პროფესიული ეთიკის ნორმებისა და დემოკრატიული ღირებულებების გათვალისწინებით მოქმედების, კერძო სამართლის სფეროში შეძენილი პროფესიული ცოდნის, პრაქტიკის და სამართლებრივი ღირებულებების განვითარების უნარი.

სწავლის შედეგები

კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული:

ცოდნა და გაცნობიერება

1. ფლობს კერძო სამართლის სხვადასხვა პრობლემისა და ინსტიტუტის შესახებ ღრმა და სისტემურ ცოდნას, რომლის საფუძველზეც **სიღრმისეულად აღწერს** კერძო სამართლის სფეროში ეროვნული მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის განვითარების თავისებურებებს, მის ხარვეზებსა და სრულყოფის გზებს, თანამედროვე სამართლებრივი სისტემების, სამოსამართლო სამართლის საკითხების, სამოსამართლო ეთიკის წესებსა და დისციპლინური პასუხისმგებლობის სპეციფიკას, სამედიაციო ეთიკის ნორმებს, მართლმსაჯულების ხელოვნური ინტელექტის გამოყენების პერსპექტივებს.

2. **ხსნის** ეროვნულ კერძო სამართალზე ევროკავშირის კერძო სამართლის ზემოქმედების თავისებურებებს, კერძო სამართლის ევროპეიზაციის პროცესს, **აღწერს** ეროვნული და სხვა სახელმწიფოთა კერძო სამართლის მიღწევებს, განვითარების ტენდენციებს, **ადგენს** შედარებითსამართლებრივი მეთოდის გამოყენების მნიშვნელობას;

3. **აღწერს** აკადემიური წერის სტანდარტებს, კერძო სამართლის სფეროში საკვლევი თემატიკის შერჩევის, სამეცნიერო კვლევის დაგეგმვის, ნაშრომის არქიტექტონიკის განსაზღვრისა და ციტირების ტექნიკის თავისებურებებს, აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკის წესებს, პროფესიული სამეცნიერო ტექსტის შექმნის სპეციფიკასა და ხელოვნური ინტელექტის გამოყენების ეთიკურ ასპექტებს, იურიდიული კვლევის მეთოდებს;

უნარი

4. **კომპლექსურად აფასებს** რთულ კერძოსამართლებრივ საკითხებს, იურიდიულ შემთხვევათა ფაქტობრივ გარემოებებს, პოულობს კერძო სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობაში ხარვეზებს და პრაქტიკაში წამოჭრილ პრობლემებს;

5. კერძო სამართლის ნორმების განმარტებით, კრიტიკული ანალიზისა და შედარებითსამართლებრივი მეთოდის გამოყენებით **შეიმუშავებს** პრობლემების გადაწყვეტისა თუ კერძო სამართლის ეროვნული კანონმდებლობის სრულყოფის ახალ და ორიგინალურ გზებს/დასკვნებს, **განსაზღვრავს** მიღებული გადაწყვეტილებების უარყოფით და დადებით შედეგებს;

6. **განაზოგადებს** კერძო სამართლის კანონმდებლობას, თანამედროვე ეროვნული და საერთაშორისო პრაქტიკისა და პრეცედენტების განვითარების ძირითად ტენდენციებს, **ადგენს** საერთაშორისო და

ეროვნული კერძო სამართლის ურთიერთკავშირსა და ურთიერთდამოკიდებულებასთან დაკავშირებულ პრობლემებს, **განმარტავს** ევროპული კერძო სამართლის სფეროში არსებულ სიახლეებს, **აანალიზებს** და **აფასებს** მათ დადებით თუ უარყოფით შედეგებს;

7. კერძო სამართლის აქტუალურ საკითხებზე დამოუკიდებლად **გეგმავს** სამეცნიერო-კვლევით პროცესს და აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით, უახლესი მეთოდების, მიდგომების, ნაშრომებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების განზოგადებული ანალიზის საფუძველზე **შეიმუშავებს** სამეცნიერო - კვლევით ნაშრომს;

8. **კრიტიკულად აანალიზებს** კერძო სამართლის სპეციალისტისთვის მნიშვნელოვან მონაცემებს, მათ შორის ეროვნული და საერთაშორისო სამართლის წყაროებს, კერძო სამართლის კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებს, უახლეს სასამართლო პრაქტიკისა და კერძო სამართლის მეცნიერების განვითარების ტენდენციებს, ასევე, **გადასცემს** კერძო სამართლის აქტუალურ საკითხებზე შემუშავებული საკუთარი კვლევის შედეგებს როგორც აკადემიურ, ისე პროფესიულ საზოგადოებას ზეპირი და წერილობითი ფორმით;

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

9. **აღიარებს** და **პატივს სცემს** პროფესიულ ღირებულებებს, სამოსამართლო ეთიკის სტანდარტებსა და მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპებს, სამედიაციო ეთიკის ნორმებს, სამეცნიერო კვლევის ეთიკურ შედეგებს, **დამოუკიდებლად იღებს** მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტების, კერძოსამართლებრივი პრინციპებისა და ღირებულებების დაცვით. საჭიროებისამებრ მხარეთა ინტერესების სამართლიანად დაბალანსების მიზნით **ხელს უწყობს** კერძო სამართლის სფეროში შეძენილი ცოდნისა და პრაქტიკის განვითარებას, სამართლებრივი ღირებულებების თუ კერძო სამართლის თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით;

10. **შეიმუშავებს** ახალ სტრატეგიულ მიდგომებს, რომელთა დახმარებითაც ადაპტირდება განსხვავებული შეხედულებების ადამიანთა მრავალფეროვან ჯგუფებში, **უზიარებს** საკუთარ გამოცდილებას, **იძენს** მაღალი დონის პირად ავტონომიას და **იღებს** პასუხისმგებლობას როგორც საკუთარ, ისე სხვების საქმიანობასა და პროფესიულ განვითარებაზე, **ქმნის შესაბამის პირობებს** საერთო გუნდური გადაწყვეტილების მიღწევის მიზნით;

11. **ავლენს** როგორც ქართული, ისე უცხოური სამართლებრივი საინფორმაციო რესურსებიდან, პირველადი წყაროებიდან უახლესი კერძოსამართლებრივი მონაცემების ავტონომიურად მოძიების, სწავლისა და კვლევის დამოუკიდებლად წარმართვის უნარს, ასევე, გეგმავს და **მართავს** სამუშაო დროს, **შეიმუშავებს** კვლევის წარმოების შესახებ სტრატეგიულ მიდგომას ნაშრომის მომზადების მიზნით.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან (იხ. პროგრამის ***დანართი 1*** *– პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა).*

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებით უზრუნველყოფილია პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა (იხ. პროგრამის ***დანართი 2*** *- პროგრამის სწავლის შედეგების რუკა).*

პროგრამის მოცულობა

კერძო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია კრედიტების ტრანსფერის ევროპული სისტემის (ECTS) საფუძველზე, სტუდენტზეა ორიენტირებული და ემყარება სტუდენტის იმ აკადემიურ

დატვირთვას, რაც საჭიროა და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

1 კრედიტი მოიცავს 25 ასტრონომიულ საათს. კრედიტი დროის ერთეულში (სთ.) ასახავს სამუშაოს იმ მოცულობას, რომელიც საჭიროა სტუდენტის მიერ პროგრამის შესაბამისი სასწავლო კურსის ასათვისებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად. კრედიტი ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათებს.

პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 2 აკადემიურ წელს ანუ 4 სემესტრს და მოიცავს 120 კრედიტს (3 000 საათს).

სემესტრის განმავლობაში სტუდენტმა უნდა დაძლიოს საშუალოდ 30 კრედიტი (30 კრედიტი = 750 სთ.), ხოლო წელიწადში - 60 კრედიტი, თუმცა სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, აკადემიური წლის განმავლობში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არაუმეტეს 75 კრედიტისა.

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტის დატვირთვა ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელ მუშაობას, მოიცავს ლექციებზე დასწრებას, პრაქტიკულ მუშაობას, შუალედური და დასკვნითი გამოცდების მომზადება-ჩაბარებას, პრაქტიკის გავლას, პრაქტიკის ანგარიშის მომზადება-დაცვას.

ერთი აკადემიური წელი მოიცავს 42 კვირას, ერთი სემესტრი 21 კვირას, მათ შორის 15 კვირა არის სასწავლო, დანარჩენი 6 კვირა - სასესიო. კერძოდ, მე-8-9 კვირა ეთმობა შუალედურ გამოცდებს, მე–18 და მე–20 კვირა დასკვნითი გამოცდების პერიოდია, 21-ე კვირა კი დამატებითი გამოცდების პერიოდი. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედია დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღე.

პროგრამის სტრუქტურა

კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს, მათ შორის: სასწავლო კომპონენტს ეთმობა 90 კრედიტი, ხოლო კვლევით კომპონენტს 30 კრედიტი:

სასწავლო კომპონენტი:

- 35 კრედიტი - ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები;
- 40 კრედიტი - ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები;
- 15 კრედიტი - იურიდიული პრაქტიკა (კლინიკა).

კვლევითი კომპონენტი:

- 30 კრედიტი - სამაგისტრო ნაშრომი.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ძირითადი სწავლის სფეროს 6 სავალდებულო სასწავლო კურსი. არჩევითი სასწავლო დისციპლინების წრე ფართოა და სტუდენტს შეუძლია მათგან რამდენიმეს არჩევა 40 კრედიტის ფარგლებში, საკუთარი ინტერესისა და სურვილის მიხედვით. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები მიმართულია პროგრამაში დასახული მიზნების მიღწევისა და შესაბამისი კომპეტენციების ჩამოყალიბებისკენ. მისაღწევი კომპეტენციების ფორმირების ლოგიკური თანმიმდევრობა განსაზღვრავს სამაგისტრო პროგრამის შინაარსს, სტრუქტურას და სასწავლო გეგმას. კერძო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განსაზღვრულია პროგრამის კომპონენტებზე დაშვების წინაპირობები, კომპონენტების თანმიმდევრობა, კომპონენტების კრედიტების სემესტრული განაწილება, სტუდენტის სემესტრული დატვირთვა.

*საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტები, კომპონენტების კრედიტების მოცულობა, წინაპირობები და სემესტრების მიხედვით კომპონენტების განაწილება განსაზღვრულია პროგრამის სასწავლო გეგმით (იხ. **დანართი 5** - პროგრამის სასწავლო გეგმა).*

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასების მეშვეობით განისაზღვრება სტუდენტის მიღწევების შესაბამისობა პროგრამის კონკრეტულ შედეგებთან. კერძო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში სტუდენტის ცოდნის შეფასება დაფუძნებულია კრიტერიუმებზე, რომლებიც განსაზღვრავენ ფლობს თუ არა სტუდენტი სასწავლო კურსით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს.

პროგრამის ფარგლებში გამოყენებული შეფასების სისტემა შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებულ „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს“.

სწავლის შედეგების მიღწევა ფასდება შუალედური და დასკვნითი შეფასებებით, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას. სასწავლო კურსის მაქსიმალური საბოლოო შეფასება შეადგენს 100 ქულას.

შეფასების სისტემა ითვალისწინებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი – 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, უარყოფითი შეფასების (FX) მიღების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება. დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლებას სტუდენტი იღებს იმ შემთხვევაშიც, თუ მან დააგროვა საბოლოო შეფასების 51 ქულა ან მეტი, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი გამოცდისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

შუალედური შეფასება დაყოფილია კომპონენტებად. შუალედური შეფასების სავალდებულო კომპონენტია შუალედური გამოცდა, რომელიც ტარდება მე-8-9 კვირაში. შუალედური შეფასება გულისხმობს სამუშაო ჯგუფში

მუშაობის დროს სტუდენტების მუშაობის პროცესის, შუალედური გამოცდის და სტუდენტის დამოუკიდებელი სამუშაოს ჯამურ შეფასებას, ხოლო დასკვნითი შეფასება - დასკვნითი გამოცდის შეფასებას. შუალედური და დასკვნითი შეფასებების მეთოდებს და მათ ხვედრით წილს განსაზღვრავს სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი შესაბამისი სილაბუსის ფარგლებში. სილაბუსში ასევე განმარტებულია თითოეული კომპონენტის შეფასების კრიტერიუმებიც.

დასკვნით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება შუალედური შეფასების მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში. დასკვნითი გამოცდა ჩაითვლება ჩაბარებულად დასკვნითი გამოცდის მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში. შუალედური შეფასებისთვის და დასკვნითი გამოცდისთვის განსაზღვრულია შემდეგი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი: შუალედური შეფასების 50 %, დასკვნითი გამოცდის შეფასების 50%+1.

კრედიტი ათვისებულად ჩაითვლება თუკი შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდისთვის დადგენილი მინიმალური ზღვრების გადალახვის საფუძველზე სტუდენტის მიერ მიღებული ქულების ჯამი შეადგენს 51 ქულას ან მეტს.

სასწავლო კურსის განმახორციელბელი პერსონალი, სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით უფლებამოსილია სილაბუსით განსაზღვროს განსხვავებული (უფრო მაღალი) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნის შესაბამისად.

სასწავლო კურსის განმახორციელბელი პერსონალი, მიზნების, სწავლის შედეგების და სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით ასევე უფლებამოსილია შეფასების მეთოდში/მეთოდებში განსაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. შეფასების მეთოდში/მეთოდებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარის არსებობის შემთხვევაში, კრედიტის მინიჭება შესაძლებელი იქნება თითოეულ შეფასების მეთოდში არსებული მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვის, თითოეულ შეფასების კომპონენტში (შუალედური და დასკვნითი შეფასება) არსებული მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვისა და შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულების დაჯამების შედეგად მინიმუმ 51 ქულის მიღების შემთხვევაში.

კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში ასახული შეფასების მეთოდების მიზანია, ობიექტური და გამჭვირვალე, სასწავლო კურსის მიზნებზე და მის სპეციფიკაზე ორიენტირებული კრიტერიუმების გამოყენებით, დაადასტუროს თითოეული სტუდენტის მიერ შესაბამისი სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევა.

დასაქმების სფერო

კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია იმუშაოს სახელმწიფო ან კერძო სექტორში ნებისმიერ იმ თანამდებობაზე, სადაც მოითხოვება კერძო სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი და კანონი არ ითხოვს სახელმწიფო სასერტიფიკატო გამოცდის ჩაბარებას.

დასაქმების პოტენციური სექტორებია: სამინისტროები, საქართველოს პარლამენტი, საერთო სასამართლოები, საკონსტიტუციო სასამართლო, სხვადასხვა საჯარო სამართლის იურიდიული პირები, არასამთავრობო ორგანიზაციები, სამართლის კვლევითი ცენტრები, სხვადასხვა პროფილის კერძო კომპანიები და ორგანიზაციები, კერძო საადვოკატო ბიუროებიდა ა.შ.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

კერძო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს სწავლის გაგრძელება შეუძლია უმაღლესი აკადემიური განათლების III საფეხურზე – დოქტორანტურაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

შენიშვნა: *საგანმანათლებლო პროგრამის დანართები წარმოადგენს პროგრამის განუყოფელ ნაწილს.*

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი:

აფილირებული პროფესორი ნონა ზუბიტაშვილი

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ.შ.:

სოფიო ხუნდაძე